პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

სამშაბათი, 12 აგვისტო 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

წითელი მხედარი

№ 570

ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ფასების დაკლება პირველ მოთხოვნილების საქონელზე.

სახალხო მეურნეობის აყვავების და მაღალ დონეზე დაყენებისათვის ჩვენი მთავრობა არ იზოგავდა და არ ზოგავს ძალღონეს.

ბაზრის ნაწარმოების სიძვირე, გლეხის ნაწარმოების სიაფე და მუდამ ცვალებადი ფულის მაზანდა—ცუდ პირობებში აყენებდა, როგორც ქალაქის მუშას, ისე სოფლის მშრომელ მასას.

საჭირო იყო მთელი რიგი ზომებისა, რათა ერთის ფასს დაეწია, მეორესას აეწია და მესამე კი მკვიდრი შექმნილიყო.

ამ მხრივ დღემდე ბევრი გაკეთდა. ქალაქის ნაწარმოები იყიდება ისეთ ფასებში, რომ მის შეძენა თითქმის ყველას შეუძლია.

მანეთის მაზანდა უცვლელია.

დღეს გლეხს ან მუშას არ ეშინია მის თუ სად წაიღოს ოფლითა და წვით შეძენილი ფული, მათ ძილს არ უფრთხობს ის გარემოება, რომ ხვალ დილით ადგომისას მისი მანეთი მანეთი აღარ იქნება.

იგი მანეთია დღეს და მანეთი იქნება ხვალაც.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უკვე მივახწიეთ სასურველ შედეგს და სხვა ამის მეტი არა გვინდა რა.

ჩვენ კარგ შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ სასურველამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ.

დღევანდელ პირობებში ქალაქის მუშასაც და სოფლის მშრომელსაც საქმე უჭირს.

ჩვენი ნორჩი მეურნეობა ჯერ ვერ არის გამაგრებული. ჩვენ არ ძალგვიძს მუშის ხელფასი გავადიდოთ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა.

მეორე მხრით გლეხობა ვერ ასაღებს თავის ნაწარმოებს ისეთ ფასებში, რომ თავი მან დაკმაყოფილებულ იცნოს.

ამ მდგომარეობას გაუწია სწორედ ანგარიში ჩვენმა საბჭოთა კავშირის მთავრობამ და მთელი რიგი ახალი ზომებისა შეიმუშავა.

მიზნათ უმთავრესად დასახულია შემცირება ფასებისა ქალაქის ნაწარმოებზე.

ფართლეულობაზე, ტყავეულობაზე, ლინოზე, მარილზე, წუმწუმაზე, შაქარზე, ჩაიზე, ნავთზე და სხვა. აუცილებელ საჭიროების ნივთებზე ფასების დაკლება უკვე შემუშავებულია.

ეს დიდი შეღავათია მშრომელი მასისათვის.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს მით უფრო, რომ წელს საბჭოთა კავშირში მოუსავლიანობა იყო.

ჩარჩებმა და სპეკულიანტებმა სიხარულით ქუდი ცაში აისროლეს.

მტრებმა დაიწყეს ენის სისინი. ეგონათ წარმოების შეფერხება.

მაგრამ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში არამც თუ შეფერხდა წარმოება, არამედ ჩვენმა მთავრობამ შესძლო საქონლის გაიაფება, დამშეულ ადგილების ჭირნახულით და სათესლე მარცვლით მომარაგება.

ქალაქის ნაწარმოების გაიაფება ხელს შეუწყობს მის აყვავება-აღორძინებას.

ამ რიგად წარმოების სათანადო დონეზე დაყენებით ერთნაირად არიან დაინტერესებული, როგორც ქალაქის მუშა, ისე სოფლის მშრომელი მასა.

ჩვენი მთავრობის ყურადღებაც აქეთკენაა მიმართული და იგი, როგორც ყოველთვის, შესძლებს დასახულ მიზნების მიხწევას:

სოფლის შრომის ნაყოფიერების ფასების აწევას და ქალაქის ნაწარმოების გაიაფასებას.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების გარშემო.

საგარეო საქმეთა კომისარიატის ცნობა.

8 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა ლონდონში გენერალური ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირის მხრივ ხელი მოაწერეს ამხ. ამხ. რაკოვსკიმ, ტომსკიმ, რადჩონკომ, იოფფემ; ინგლისის მხრივ-მაკდონალდმა და პანსონბიმ.

თემთა პალატამ 7 აგვისტოს სხდომაზე მიიღო დადგენილება ხელის მოწერის შესახებ, რომელიც შემდეგში უნდა განიხილოს და დაამტკიცოს პარლამენტმა. ჩვენის მხრივ ხელშეკრულებას განიხილავს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და ცენტრალური აღმასკომი.

ხელშეკრულების სრული ტექსტი მიღებისთანავე იქნება გამოქვეყნებული.

8 აგვისტოს ხელშეკრულება თავდება ნაწილობრივი კერძო ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. მიმდინარე წლის დასაწყისში მომხდარ იურიდიულმა ცნობამ ჰპოვა რეალური განხორციელება გენერალური ხელშეკრულების დადების სახით.

ლონდონის გენერალური ხელშეკრულებას მივყევართ ჩვენ ნამდვილი შეთანხმების განხორციელებისაკენ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის ცნობის საფუძვლებზე, როგორც პოლიტიკური წყობილების ახალი ფორმისა და სამეურნეო ურთიერთობისა.

ხელშეკრულების დადების დროს ორივე მხარე წავიდა რამოდენიმედ დათმობის გზაზე.

საბჭოთა კავშირის მხრივ ეს დათმობა გამოიხატება შემდეგში: ის თანახმაა ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ინგლისის მოქალაქეთა მოთხოვნილებანი.

ამ დათმობის სამაგიეროდ ინგლისის მთავრობა აძლევს საბჭოთა კავშირს სესხის გარანტიას, ხოლო ინგლისის მოქალაქეთა მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულ იქნებიან იმ სესხის ხარჯზე, რომელსაც მიიღებს საბჭოთა კავშირი.

სესხის დანარჩენი ნაწილი მოხმარდება საბჭოთა კავშირის მეურნეობას.

კონცესიები ჩამორთმეულ საკუთრებიდან მიეცემათ ინგლისის მოქალაქეებს, იმ პირობებში, თუ ის მოუტანს რეალურ სარგებლობას საბჭოთა კავშირს.

გენერალურ ხელშეკრულებაში დაწესებულია ის პრინციპები, რომელთა მიხედვითაც უნდა იქნას მიღწეული ციფრებრივი შეთანხმება კრედიტორებსა და ყოფილ კერძო მესაკუთრეებთან;

ეს შეთანხმება კანონთან ერთად რუსეთის სესხის შესახებ იქნება გაწყრელი.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ კონფერენციის დასრულებისას, ინგლისის მთავრობამ მიიღო თავზე სესხის გარანტია.

გამომუშავებული გენერალური ხელშეკრულება შეიცავს შეთანხმებას არა მარტო პრეტენზიების სფეროში, არამედ ზოგიერთ სხვა მხარეებშიაც. აქ შედის სავაჭრო შეთანხმება ადმინისტრატიული და ტეხნიკური ხასიათისა, ტერიტორიალურ წყლების შესახებ საბჭოთა ჩრდილოეთში და აგრეთვე მეთევზეობის შესახებ.

მაკდონალდის მტრები.

ინგლისის მუშათა მთავრობის მტრები ინგლის-საბჭოთა შეთანხმებას უყურებენ ისე, როგორც ბრიტანეთის დღევანდელ მთავრობის პირველ ცდას „აწარმოოს სოციალისტური მეთოდები მმართველობაში“.

მაკდონალდის მტრები აღნიშნავენ, ხელშეკრულების დადებით მან დააკმაყოფილა თავისი პარტიის უკიდურესი ჯგუფები, რომლებიც მუდამ მოითხოვდენ, რომ ინგლისი დახმარებოდა საბჭოთა მთავრობას.

მაკდონალდი მოიქცა ისე, როგორც განაცხადა ძალაუფლების ხელში აღების დროს; მან აასრულა თავისი სიტყვა, რომ შეუთანხმდებოდა საბჭოთა მთავრობას.

უეჭველია, როგორც მაკდონალდის მტრები აღნიშნავენ შეთანხმება საბჭოთა მთავრობასთან მისცემს მუშათა მთავრობას ახალ ხმებს უკიდურეს რადიკალებს შორის, განსაკუთრებით შოტლანდიაში.

ინგლისის პრესა.

ინგლის-საბჭოთა ხელისუფლების შესახებ.

ინგლისის ბურჟუაზიული პრესა უმეტეს შემთხვევაში დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებით.

განსაკუთრებით სასტიკად გამოდის კონსერვატიული „მორნინგპოსტი“ რომელმაც თავი მიანება თავის მდუმარე გაკვირვებას და გამოილაშქრა ხელშეკრულების წინააღმდეგ.

გაზეთი სხვათა შორის სწერს: „საბჭოთა მთავრობის აშკარა მიზანია ცივილიზაციის დანგრევა. ამ ნგრევის გეგმაში ბრიტანეთის იმპერიის დაქუცმაცებას უკავია პირველი ალაგი.

საბჭოთა ტირანია არ სცნობს არავითარ ვალდებულებას და განაგრძნობს იდუმალ ომს ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ მრავალგვარ საზიზღარი საშვალებით.“

მეორე კონსერვატიული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ გამოსთქვამს რამოდენიმედ ბუნდოვან აზრს, მაგრამ მაინც სთვლის შეთანხმებას ფანტასტიურად და შეუძლებელ საბუთად.

ლიბერალური „დეილი ექსპრესი“ არ განმარტავს ხელშეკრულებას, მაგრამ ათავსებს თვალსაჩინო ალაგას წერილს, რომელიც ოპტიმისტურად ასურათებს საბჭოთა კავშირის დღევანდელ მდგომარეობასა და მომავალ შესაძლებლობას.

დანარჩენ ლიბერალურ გაზეთების პოზიცია შეიძლება გავიცნოთ „ვესტმისტერ გაზეთ“-ის სიტყვებით-„დიდი ხმაურობა უბრალო საქმეზე“

ამ გაზეთის მოწინავე ამბობს: „პარლამენტის კამათი ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ მეტად ცხარე და მასთან ბუნდოვანი იყო, მაგრამ ნამდვილი პირობების წაკითხვა საკმაოა, რომ სრულად გაიფანტოს შიში“

ბირჟის წრეების ორგანო „ტაიმსი“ სწერს.

„ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების მოწერა გამარჯვებაა საბჭოთა დელეგატებისათვის, რომლებმაც შესძლეს სხვა ბურჟუაზიულ მთავრობათა მოტყუილებაც.

ჩვენ არ გვინდა დავუჯეროთ, რომ პარლამენტი, ბუნდოვან და განუხორციელებელი წინადადების სამაგიეროდ, რომელიც მიეცათ ინგლისის კრედიტორებს, სესხის გარანტიას მისცემს ქვეყნის სახელით იმ სახელმწიფოს, რომელმაც ფლიდურად დაარღვია თავისი ვალდებულობა.

მოკავშირეთა კონფერენცია

თანახმაა ხელი მოაწეროს.

გერმანიის დელეგაცია დასთანხმდა ხელი მოაწეროს სარეპარაციო კომისიის მიერ შედგენილ ოქმს, რომელიც ეხება დოუესის გეგმის ცხოვრებაში გატარებას.

ძირითადი საკითხი.

„ეკო დე პარის“ ცნობით ერიოსა და გენერალ ნოლლეს შორის თან და თან იზრდება უთანხმოება რურის ევაკუაციის საკითხში.

„მატენი“ აღნიშნავს კიდეც სამხედრო მინისტრის გადადგომის შესაძლებლობას.

საქმეს აფერხებს ევაკუაციის საკითხი.

ლონდონში ფიქრობენ, რომ თუ მოხდება შეთანხმება რურის ევაკუაციის საკითხში, დანარჩენი სადაო საკითხების გადაჭრა შეიძლება 24 საათში.

კიდევ ერთი კვირით.

მაკდონალდი დარჩება ლონდონში კონფერენციის მუშაობის დამთავრებამდი, რომელიც გასტანს მომავალი კვირის დასასრულამდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონიდან მოსკოვში თვითმფრინავით.

9 აგვისტოს, დილის 8 საათზე მოვიდა მოსკოვში თვითმფრინავით ინგლისის პარლამენტის მუშათა პარტიის წევრი არაბელა სიუზანა ლაურენსი.

საკითხი მოკავშირეთა ვალების შესახებ.

გავასის სააგენტო იუწყება, რომ ერიომ და ფინანსთა მინისტრმა კლემენტალმა შესძლეს დაეთანხმებიათ მაკდონალდი, რათა ექსპერტების სხდომაზე განხილულ ყოფილიყო საკითხი მოკავშირეთა ვალების შესახებ.

ექსპერტების მიერ საკითხის განხილვას მიზნად უნდა ჰქონდეს ნიადაგის მომზადება მოკავშირეთა პრემიერების კონფერენციისთვის.

14-ს საბჭოს სხდომა.

ერიოს უნდა მიეღო მონაწილეობა 14-ს საბჭოს სხდომაზე გუშინ. ამ კომისიას უნდა გაეკეთებია მოხსენება რურის ეკონომიურ ევაკუაციის შესახებ.

სარეპარაციო კომისიაში.

შეთანხმება გერმანიის დელეგაციასთან.

გერმანიის დელეგაციამ და სარეპარაციო კომისიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებაზე ექსპერტების გეგმის გატარების შესახებ. მოწერილი შეთანხმება ატარებს პირობითი ხასიათს და შევა ძალაში მაშინ, როცა მოკავშირეები გადასჭრიან გერმანიის დელეგაციასთან ერთად დანარჩენ საკითხებს.

სარეპარაციო კომისია დაბრუნდება დღეს პარიზში.

კომისიების მუშაობა.

კონფერენციის მეორე კომისიამ მოიწონა დადგენილება გერმანიის ახალ საემისიო ბანკის შესახებ.

გუშინ დაასრულა თავისი მუშაობა კომისიამ, რომელიც მუშაობდა გერმანიის ეკონომიური მთლიანობის აღდგენის საკითხში.

საკითხი რურის ევაკუაციის შესახებ.

ერთად ერთი საფრთხე კონფერენციისათვის მდგომარეობს იმაში, რომ ერიო პარიზიდან დაბრუნების შემდეგ მოითხოვს საკითხის დაყენებას რურის ევაკუაციის შესახებ საფრანგეთის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ერიო ითხოვს ვადის გაგრძელებას.

„დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ერიომ სთხოვა მაკდონალდს, რათა გაგრძელებულ იქნას კელნის ზონის გაწმენდა 10 იანვრამდი, როგორც წინად იყო გადაწყვეტილი. მაკდონალდმა განაცხადა, რომ ამ საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია გერმანიაზე, თუ როგორ აასრულებს ის დოუესის გეგმას.

საბჭოთა ფედერაციაში

კონვენციის რატიფიკაცია.

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის კონვენცია მოსაზღვრე მცხოვრებთა გადასვლა-გადმოსვლის შესახებ საზღვარზე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

საკავშირო სავაჭრო განყოფილებამ ავსტრიაში და ჩეხო-სლოვაკიაში შეიძინა დიდძალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, რომლის ღირებულება უდრის 3 მილიონ მანეთს. მანქანები მოდის ლენინგრადის ნავთსადგურში, საიდანაც გაუნაწილდება სახელმწიფო ორგანოებს.

ამერიკის საკოოპერაციო ლიგის თავმჯდომარე სსრკ-ს კოოპერაციის შესახებ.

ამერიკის საკოოპერაციო ლიგის წარმომადგენელმა უერბასმა, რომელიც ამ ჟამად იმყოფება მოსკოვში, როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ მისი სსრკ-ში მოსვლის მიზანია შეისწავლოს საკოოპერაციო მოძრაობა და შეჰკრიბოს ცნობები, რომლებიც სასარგებლონი იქნებიან ამერიკის საკოოპერაციო მოძრაობისათვის.

უკვე პირველი შთაბეჭდილებიდანვე სჩანს, რომ საბჭოთა კოოპერაცია განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება და საგრძნობ როლს თამაშობს მოსახლეობის ფართო მასებში.

საკვირველად გაძლიერდა საბჭოთა კავშირში როგორც კოოპერაციული ვაჭრობა, ისე საკოოპერაციო წარმოება.

აღსანიშნავია აგრეთვე საკოოპერაციო-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც სწარმოებს კავშირის მოსახლეობაში. სსრკ-სა და ამერიკის საკოოპერაციო მოძრაობის შედარება შეუძლებელია, ვინაიდან იქ სწარმოებს მუშაობა სულ სხვა ეკონომიურ-პოლიტიკურ პირობებში. ამერიკაში მსხვილი კაპიტალიზმი კონტროლობს მთელ კომერციულ ცხოვრებაში და ამერიკის კოოპერაციას უხდება აწარმოოს ბრძოლა ამ ძლიერ მტერთან; საბჭოთა კავშირში კი კოოპერაციას გახსნილი აქვს გზები და კიდეც მიდის წინ ჩქარი ნაბიჯით. ამერიკის კოოპერაციას სურს დაუმეგობრდეს საბჭოთა კოოპერაციას, გააბას მასთან მტკიცე, საქმიანი კავშირი და შეთანხმებით იმუშაოს საერთაშორისო საკოოპერაციო საქმის ასაყვავებლად.

ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონფერენცია.

ჰამბურგში მომხდარ ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონგრესზე ჟუომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოკავშირეთა კონფერენცია მიეწერება მეორე ინტერნაციონალის დამსახურებასო. ფიმენის მოხსენებაზე მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ დოუესის გეგმა დაკავშირებულია მუშათა კლასის საშიშროებასთან, მაგრამ მეორეს მხრივ აღნიშნულია, რომ „გერმანიის მუშათა კლასი მზადაა დათმობისათვის“-ს.

დასასრულ რეზოლიუცია მოითხოვს მიღებულ იქნას საერთაშორისო გაერთიანებაში ტრანსპორტელთა რევოლიუციონური პროფკავშირები.

ნორვეგიის, შვეციის, ჩეხო-სლოვაკიის და ინგლისის დელეგაციის მომეტებულ ნაწილში—ძლიერი მიდრეკილებაა საბჭოთა კავშირის ტრანსპორტთა მიღების სასარგებლოდ საერთაშორისო გაერთიანებაში.

საბოლოო სიტყვაში ფიმენმა დაიცვა თავისი პოზიცია ბერლინის კონფერენციაზე და განუცხადა, რომ ის ამაყობს თავისი მონაწილეობით კონფერენციაზე.

ამ კონფერენციის მანიფესტი გამომუშავებულ იქნა ლოზოვსკისთან ერთად, რაშიც სრულ პასუხისმგებლობას ჰკისრულობს ფიმენი.

მონგოლთა სახალხო პარტიის სალამი კომინტერნს.

მონგოლთა სახალხო პარტიის მეორე ყრილობამ გაუგზავნა კომინტერნს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მონგოლთა სახალხო პარტიის მეორე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის მსოფლიო მშრომელთა ბელადს—კომინტერნს. ერთხმად ვფიცავთ ბოლომდის დავრჩეთ ერთგული კომინტერნის იდეებისა.

მონგოლთა სახალხო პარტია უცდის ნიშანს, რომ გამოვიდეს მთელი ქვეყნის ჩაგრულებთან ერთად ბურჟუაზიისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ.

რადიო ყოველ მხრიდან.

წყალდიდობა იაპონიაში.

როგორც ნაგასაკიდან იუწყებიან სამხრეთ-იაპონიაში მოხდა დიდი წყალდიდობა, რომელმაც გაანადგურა რამოდენიმე ათასი სახლი, დაანგრია და წაიღო რკინის გზის მოწყობილება. ყოველგვარი კავშირი სახელმწიფოს დანარჩენ ნაწილებთან შეწყვეტილია.

გრიგალი და წყალდიდობა.

ოდესა. ზახაროვის რაიონში გადაიარა გრიგალმა ძლიერი წვიმით. დანგრეულია რამოდენიმე ათეული შენობა. სოფლებში, რომლებიც გაშენებულია დაბლობებში, სახლებს გარშემოადგა წყალი, რომლის სიღრმე უდრის ორ არშინს.

წყალმა წალეკა აუარებელი პური და ბოსტნები. დაიღუპა მრავალი შინაური საქონელი.

მდგომარეობა ბესარაბიაში.

რუმინეთის ოფიციოზის ცნობით ბესარაბიაში ყოველდღე მიდის მკვლელობა რუმინეთის მოხელეებისა და ჯარის კაცების.

ვოროვსკის შეხვედრა.

ნეაპოლოში ჩავიდა საბჭოთა სამოწავლო გემი „ვოროვსკი,“ რომელსაც დიდი საზეიმო შეხვედრა გაუმართეს.

ბულგარეთი.

ბელგრადის გაზეთ „ვრემია“-ს ცნობით, ბულგარეთის მთავრობამ გამოაცხადა საალყო წესები, ვითომ იმის გამო, რომ ოპოზიციის პარტია სცდილობდა მოეხდინა სახელმწიფოს გადატრიალება.

საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე.

ათინის გაზეთების ცნობით, მოხდა ახალი ინცინდენტი საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე.

ახალი პარტიზანული რაზმი.

სტოლბეცის (პოლონეთი) მაზრაში გამოჩნდა ახალი პარტიზანული რაზმი. სოფელკოტლოვოს რაიონში პარტიზანებმა დასწვეს რკინისგზის ხიდი, აპირობენ სანაპირო პოლიციის შეცვლას სამხედრო რაზმებით.

თეირანი.

რეაქციონერთა დაპატიმრება.

რეშტში დააპატიმრეს მრავალი რეაქციონერი. აღმოაჩინეს კავშირი თეირანის მონარქიულ ჯგუფებთან.

ყრილობა გადადებულია შემდეგისათვის.

ნორვეგიის კომპარტიის ცეკამ დაადგინა გადაიდოს ყრილობა შემოდგომო არჩევნების დამთავრებამდე პარლამენტში.

დაპატიმრება ჯამეში.

ინგლისის კონსულის განკარგულებით დუოდაბოში შეიპყრეს ჯამეში ნაციონალურ ჯგუფის ბელადი სერდარ შეიხი. პროტესტის ნიშნად ინდუსების ვაჭრებმა დახურეს ბაზარი.

ჩვენი ნაკლულევანებანი.

უფროსია და გაზეთს კი არ კითხულობს.

ამ ორი დღის წინეთ ჩვენი გაზეთის რედაქტორს მივყვებოდი შოთა რუსთაველის ქუჩით.

ჩვენი გაზეთის შესახებ ვლაპარაკობდი.

რედაქტორმა აღნიშნა, რომ ნაწილებიდან ვერ მოდის წერილები ისე, როგორც უნდა მოდიოდესო.

თანაც არ იციან რაზე სწერონ და როგორ სწერონო.

ამასობაში წინ ერთი კაცი შემოგვეყარა. ის ჩაცმული იყო სამხედრო ფორმაში.

ლაპარაკიდან და გარეგან ნიშნებიდან სჩანდა, რომ ეს უცხო პირი უფროსთა შემადგენლობიდან უნდა ყოფილიყო.

აღნიშნული პირი რედაქტორს თითქმის შინაურულად მიესალმა.

სჩანდა, რომ კარგი ხნის ნაცნობები იყვნენ.

იცოდა კიდეც რედაქტორის ოჯახური ამბები.

თავისთავად ცხადია, უნდა ცოდნოდა ისიც, რომ ამ ჟამად ჩვენი გაზეთის რედაქტორი ვინ იყო.

— სად მსახურებთ, თქვენ ეხლა? შეეკითხა ის რედაქტორს.

— ქართულ ჯარის პოლიტიკურ განყოფილებაში.

— რომელ სტოლს განაგებთ?

რედაქტორს უკმაყოფილება დაეტყო სახეზე.

— გაზეთში ვმუშაობ, მიუგო რედაქტორმა.

სირცხვილია, კაცი ჯარში იყოს ისიც უფროსთა შემადგენლობაში, რომელმაც წერაც იცის და კითხვაც და გაზეთს კი არ კითხულობდეს!

გამოხმაურება კი არა სჩანს.

ჩვენს გაზეთში ხშირად წაიკითხავთ შენიშვნას ამა თუ იმ ნაკლზე, ამა თუ იმ გაკეთებულ, წახდენილ ან გასაკეთებელ საქმეზე.

მაგრამ დიდ უმეტეს შემთხვევაში, მკითხველმა არ იცის, თუ რა შედეგი მოყვა შენიშვნას.

რატომ ხდება ასე?

იმიტომ რომ სათანადო ნაწილები, ნაწილის უფროსი და სამხედრო კომისარი ყურადღებას არ აქცევს მოთავსებულ ცნობებს.

სჩანს არ არიან დაინტერესებულნი.

ფაქტი?

აი ფაქტიც:

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში აღწერილი იყო ერთი სურათი. ის შეეხებოდა ვინმე წითელ კუთხის გამგის საუბარს ჩვენს რედაქტორთან.

ცნობა მეტად საინტერესო და ღირს შესანიშნავი იყო.

მას უნდა გამოეწვია გამოძახილი ყველა ნაწილებიდან. მაგრამ არ შეგვპამათ მიწამ.

მის მერე ყოველ დღე გულმოდგინეთ ვკითხულობ გაზეთს და ჯერ არ წამიკითხავს არც ერთი ნაწილის დაინტერესება.

არ ვარგა, ჩემის აზრით, ეს.

პრესა უფრო მეტ ყურადღებას და პატივისცემას მოითხოვს.

წ. არმიელი: პეპო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წითელი კუთხე

1 ქართ. ლეგ. სკოლა.

1 და 2 ლეგიონის მასწავლებელთა და პოლიტხელების გაერთიანებული მორიგი საინსტრუქციო თათბირი მოხდა 6 აგვისტოს. თათბირს თავმჯდომარეობდა 1 ლეგ. სკოლების გამგე ს. ქუთათელაძე, რომელიც აცნობს კრებას დღის წესრიგს:

1) წერითი ვარჯიშობა და მისი პრაქტიკულად გამოყენება.

2) კოლექტიურად შედგენილ კვირეულ კონსპექტების გარჩევა.

3) კომისიის მოხსენება საექსკურსიო გეგმის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოდის სკოლების გამგე ს. ქუთათელაძე, რომელიც ვრცლად ეხება წერითი ვარჯიშობათა წარმოებას, როგორც უცოდინართა ჯგუფებში, აგრეთვე მცირე მცოდნეებთან. საერთოდ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წერითი ვარჯიშობა ხელს უნდა უწყობდეს თვითმოქმედების განვითარებას წ. არმიელებში და აგრეთვე მას უნდა ქონდეს უტილიტარული ხასიათი. მომხსენებლის დებულებები წერითი ვარჯიშობის სახეთა შესახებ მიღებულ იქნა სახელმძღვანელოდ.

შემდეგ წარმოდგენილი იქნა ერთი კოლექტ. შედგენილი კონსპექტი.

პირველ მასწავლებელ ფერაძის და მეორე კი 3-ე ასეულის მასწავლებლის ამხ. ფარულავასი. კრებამ გაარჩია, როგორც პირველი, ისე მეორე კონსპექტი და მათი დაფასება კი გადასდო მათ მიერ გაკვეთილის მიცემის შემდეგ.

დანარჩენი საკითხების გარჩევა დროის უქონლობისა გამო გადაიდო შემდეგი კრებისთვის, რომელიც დანიშნულ იქნა მეორე დღეს—7 აგვისტოს.

7 აგვისტოს—თათბირის გახსნამდის—სანიმუშო გაკვეთილი მისცა ამერიკული კომპლექსიური მეთოდით გამგე ს. ქუთათელაძემ.

გაკვეთილს დაესწრენ 1 ლეგ. სამხკომის მოადგილე, 1 და 2 ლეგ. ყველა მასწავლებლები და პოლიტხელები და ზოგიერთი დაინტერესებული პირებიც. გაკვეთილის შემდეგ გაიხსნა ზემოხსენებული თათბირი.

წინა თათბირზე განუხილველად დარჩენილ საკითხებს დაემატა გაკვეთილის გარჩევა, რომლის დროს მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ყველა პოლიტხელებმაც.

გაკვეთილის თემა იყო ოქტომბრის რევოლიუცია.

აქედან გამოყოფილი იყო ლოზუნგი: **ჩვენ მოვიპოვეთ საბჭოები.**

გაკვეთილი დაიწყო პოლიტანბანიდან, კითხვების შემწეობით ჯვით წ. არმიელების მიერ გამოყვანილი იქნა ზემოხსენებული ლოზუნგი; იყო პლაკატი, რომელიც გამოხატავდა აღნიშნულ ლოზუნგს. გაკვეთილის 1 ნაწილი ჩატარდა დასახელებული ლოზუნგის შესწავლით ამერიკული მეთოდით.

2 ნაწილი გაკვეთილისა დაიწყო ანგარიშით, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული თემასთან. წითელ-არმიელები გაეცვნენ პროცენტებს, (ელემენტარულად) დახაზეს დიაგრამები, საიდანაც აშკარად დაინახეს წერა-კითხვის უცოდინართა და მცოდნეთა შეფარდება—ძველად და ახლა. აქედან ყველანი დარწმუნდნენ რა დიდ შედეგებს მიაღწია საბჭოთა მთავრობამ განათლების ფრონტზე.

თუმცა გარჩევის დროს ზოგიერთ მასწავლებლებს აშკარად ეტყობოდათ ტენდენციური მიდგომა საკითხისადმი, მაგრამ რადგანაც გაკვეთილი სავსებით უპასუხებდა ამერიკულ მეთოდს, ამიტომ ის შეფასებული იქნა დამაკმაყოფილებლად.

საექსკურსიო გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა მასწ. რაზმაძემ და აღნიშნა ის ადგილები, რომლებიც უნდა დაათვალიერონ წ. არმიელებმა ამ მოკლე დროში.

დადგენილ იქნა, რომ მასწავლებლობამ სისტემატიურად აწარმოოს გაკვეთილების მიცემა კომპლექტიურ-ამერიკული მეთოდით.

ა. ფარულავა.

სამხედრო ცოდნის შეძენისაკენ.

ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ წითელ ჯარის პოლიტმომუშავეების სამხედრო საქმეში დახელოვნებას. პოლიტიკური ხელმძღვანელი იმავე დროს კარგი და გამოცდილი მეომარიც უნდა იყოს.

სწორედ ამ მოსაზრებით, ქართული პირველი ლეგიონის სამკომის ამხ. ბაახის განკარგულებით ჩვენს ლეგიონში დაიწყო პოლიტმომუშავეების სამხედრო საქმეში მომზადება.

ყოველ დღე სწარმოებს სამხედრო მეცადინეობა პოლიტმომუშავეებთან.

მოწვეულია სამხედრო საქმის და სამხედრო ქიმიის საუკეთესო სპეციალისტები.

ამხანაგები ძლიერ მონდომებულად მუშაობენ. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მომზადება და გამოცდილება მიიღოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში პირველ ლეგიონს ეყოლება სამხედრო საქმის კარგად მცოდნე პოლიტმომუშავენი, რაც უფრო გაასალკლდევებს ჩვენი ლეგიონის ისედაც მტკიცე რიგებს.

ს. იმნაიშვილი.

ჩვენი კურსანტები პრაქტიკაზე.

15 ივლისს, ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის უფროსი კურსანტები გადაგვგზავნეს პრაქტიკაზე სხვა და სხვა ლეგიონებში. პირადათ მე მოვხვდი მეექვსე ლეგიონის მზვერავთა გუნდში.

16 ივლისიდან შევუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას და ცხრილის მიხედვით დავიწყეთ სისტემატიური მეცადინეობა, როგორც სამწყობრო ისე პოლიტსაათებში.

ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო მოგონებად დარჩება ის მონდომება და გულის ყური, რომელსაც იჩენდენ მეცადინეობის დროს წითელ არმიელები. ისინი არ კმაყოფილდებოდენ მარტო ჩემი გადაცემულით, საკითხს—საკითხზე მისვამდენ და მოითხოვდენ განმარტებებს, რასაც სიამოვნებით ვასრულებდი.

ძლიერ მაინტერესებდა აგრეთვე არმიელებისა და უფროსებს შორის დამოკიდებულების საკითხი. მათ შორის განწყობილება ყველა ასეულებში საუცხოვოა. ერთად-ერთი, რაც შემიძლია უსაყვედუროთ აღნიშნულ გუნდის უფშემადგენლობას, ის არის, რომ საკლუბო მუშაობით ნაკლებათ არიან დაინტერესებული. მარტო გუნდის უფროსის დაუღალავი შრომა არ უშველის საქმეს. საჭიროა მათაც მიიღონ მონაწილეობა.

დასასრულ ჩემი გულწრფელი მადლობა გუნდის უფშემადგენლობას, რომლებიდანაც ბევრი რამ კარგი შევითვისე წითელ არმიელებთან დამოკიდებულების საკითხში.

კურსანტი **ხობელი.**

პირველი წარმოდგენა ჩვენს ბანაკში.

ცხენოსანი ლეგიონი საბანაკოდ გასვლისთანავე შეუდგა კლუბის მოწყობის საქმეს, რომელიც აშენებული იქნა იქვე ტყეში. კლუბთან გამართულია ლეგიონის ბიბლიოთეკა—სამკითხველო და სკოლა.

ამათ გარდა მოწყობილი გვაქვს აგრეთვე საზაფხულო სცენა.

3 აგვისტოს ლეგიონის დრამატიულმა დასმა პირველად გამართა წარმოდგენა. საღამო—წარმოდგენა ძლიერ მხიარულად ჩატარდა. ბევრი იცინეს წითელ არმიელებმა.

უნდა აუცილებლად აღინიშნოს ერთი რამ: ჩვენი უფშემადგენლობა საღამოს ერთი არ დასწრებია. თითქმის ყველა დროის გასატარებლად იყვენ წასული მახლობელ სოფელში. ასეთი მოვლენა მეორედ მაინც არ უნდა იქნას განმეორებული, რომელიც ერთგვარ ზღვარს დებს წითელ არმიელებსა და უფშემადგენლობას შორის. საჭიროა მუდამ ერთად ყოფნა და განსაკუთრებით ასეთ დროს.

იმედია, ჩვენი უფშემადგენლობა ყურადღებით მოეპყრობა ამ გარემოებას და მეორედ აღარ დაუშვებს მსგავს შეცდომას.

ცისპირელი.

რაზედ გვწერენ

ჩვენი კოოპერატივი.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონში არსებობს კოოპერატივის დუქანი, რომლის მუშაობა მაისამდის შესაფერისათ მიმდინარეობდა. ფუ-

მყინვარის წვერზე ასვლა.

ჩვენი წითელ არმიელი, რომელიც ეხლა ფართო განათლების გზას ადგია და ცოდნას ასე ეწაფება, უეჭველია დიდად დაინტერესდება საქართველოს უდიადეს მთაზე ასვლის ამბავით. ეს სხვა არა იყოს რა მის ზნეობრივ მოვალეობასაც კი შეადგენს, რადგანაც ომის ხელოვნებასთან ერთად ის კარგად უნდა იცნობდეს სამშობლოს ყოველ კუთხესა და კუნჭულს მთაშიაც და ბარშიც.

მყინვარი საქართველოს ყველა მთებსა და ყველა მწვერვალოებზე მაღალია: ზღვის დონედან 5.038 მეტრს უდრის მისი სიმაღლე, ე. ი. თითქმის ხუთ ვერსს. მყინვარი—დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ პროვინციაშია—ხევში, სადაც მოხევები სცხოვრობენ. და აი, აქაურ გლეხების გლახა წიკლაურის, ლ. ქუშაშვილის, ი. კაზილიკაშვილის და სხვა გამოცდილ გამყოლების მეოხებით და განათლების კომისარის დ. კანდელაკის დიდი დახმარების წყალობით ქართველმა მეცნიერებმა შესძლეს პირველად ამ მთაზე ასვლა და მისი მეცნიერული გამოკვლევა შარშან აგვისტოს ბოლოში.

პირველი ადამიანი, რომელმაც გაბედა მყინვარზე ასვლა—19 ივლისს 1868 წელს ე. ი. 52 წლის წინად—ინგლისელი მთასვლელი ფრესფილდი იყო.

მას შემდეგ ბევრი სხვა ევროპიელი მოგზაური ავიდა მყინვარზე, ქართველები კი არ ასულან. უკანასკნელ წლების განმავლობაში კი აღარავინ აღარ ასულა. „უცნობი იყო თოვლის და ყინულის მდგომარეობა, ამბობს ერთ-ერთ ექსკურსიის მეთაური დოცენტი გ. ნიკოლაძე. მოშლილი იყო ყველა ბილიკები და გზის მაჩვენებელი ნიშნები, ამიტომ ჩვენი გადაწყვეტილება ერთგვარ გაბედულებას წარმოადგენდა“ო.

პირველად, 22 აგვისტოს ტფილისიდან გამოვიდა მთასვლა—მგზავრობის მოყვარულთა წრე გ. ნიკოლაძის მეთაურობით და მეორე დღეს მიაღწია გამოსავალ წერტილს—სოფელ სტეფან-წმინდას. ამ წრეში იყო 21 ვაჟი და 5 ქალი. რამდენიმე დღის შემდეგ აქვე ჩამოვიდა სამეცნიერო ექსპედიცია და მისი უფროსი პროფ. ალ. დიდებულიძე სულ 18 კაცი, სამეცნიერო ხელსაწყოებით დატვირთული. ორივე ჯგუფის შეიარაღებას შეადგენდა: ალპიური ყინულის სატეხი წერაქვები (ე. წ. „წერაყინები“), ალპიური წვეტიანი ჯოხები, ფეხზე ჩასაცმელი რკინის „წრიაპები“, მუქი სათვალეები, თბილი ტანისამოსი, კარვები, თოკები და სხ. საინტერესოა აგრეთვე ამ გვარ მოგზაურობისათვის საჭირო სურსათი, თან რომ წამოიღეს: ქონი, კაკაო, შოკოლადი, დაყურსული რძე, ყავა, ნახმი („სუხარი“), კონიაკი.—

სტეფან-წმინდიდან მწვერვალომდე ასასვლელ გზაზე შემდეგი მთავარი პუნქტებია: **გველეთის ქოხი, დიდებულიძის ნაბინავარი, შევარდენის ბუდე, ფირნი ველი** (მწვერვალის ძირში) და ბოლოს თვით მწვერვალო. ყველაზე დაქანებული და ამასთან ყინულით გადაკრული აღმართი ამ ფირნი ველიდან, ე. ი. კონუსის (წოწის) ძირიდან იწყება. ამიტომ ყველაზე ძნელი და საშიში ასავალია. აქ საკმარისია მცირე გაუფრთხილებელი მოძრაობა სხეულისა, რომ კაცი იმ წამსვე მოსწყდეს საშინელ უფსკრულში.

30 აგვისტოს დილის თერთმეტი საათია რომ აქ კონუსის ძირში 4.200 მეტრის სიმაღლეზე ამოსული გ. ნიკოლაძის ჯგუფი 4 დღე საშინელ აღმართში სიარულის შემდეგ ისვენებს. დარჩა რაღაც 800 მეტრი მანძილი. მწვერვალო სულ ახლოა. მაგრამ ჯოჯოხეთის ამინდია: 20 გრადუსი ყინვა, უსაშინლესი ქარი. გამყოლი იაგორა ყოყმანშია: „უწინ ასეთ ამინდში ექსპედიციის აყვანას გვიშლიდენ, რადგან შესაძლებელია ყველა დაიღუპოსო“. მაგრამ ჩვენ ასე ადვილად იარაღს არ დავყრიდით ამბობს გ. ნიკოლაძე და ჯგუფი შეუპოვრად ადის აღმართზე, რომელსაც ალაგ-ალაგ 75—80 გრადუსი დაქანება აქვს.

„როდესაც ფეხს ზევით ვეწევით წინგადასადგომლად რკინის წერაყინს ვეყრდნობით. ყველაზე ძნელი ის არის, როცა წერაყინი უნდა ამოვაძროთ და წინ გადავიტანოთ ჩასარჭობად. გარშემო ნისლია, თოვლი, ქარბუქი, არაფერი სჩანს. ულვაშებზე და წარბებზე ყინული ჩამოგვეკიდა, სახელოებზე ყინულის სამაჯურები გაგვიკეთდა. მათარებში ყავა გაგვეყინა. ტიტველი ხელი ისე ეკრობა რკინის წერაყინს, რომ ველარ აგვიგლეჯია. ავდივართ დიდი გაჭირვებით და წვალებით. წინ საფეხურებს ვჭრით ყინულში.

ამ დროს 4 კაცი ჰკარგავს ასვლის უნარს და უკან ე. ი. ქვეით ბრუნდება. ჯგუფი განაგრძობს ასვლას. ეხლა დარჩა რაღაც 250 მეტრი. ვიღაც უეცრად ცაგორდება, ისმის ყვირილი და ჯგუფი მზად არის დაბრუნდეს მისაშველებლად, თუმცა ეს ამაოა. მაგრამ ამ დროს გაისმის მოხევე გამყოლის მკაცრი და ბრძანებითი ხმა: ,,ვინც ცუდათ მომზადებული წამოვიდა, დეე დაიღუპოს, ჩვენ კი აუცილებლად უნდა მწვერვალოზე ავიდეთ!‘‘ო. ,,ეხლა,—როცა მიზანი ასე ახლოა, ამბობს გ. ნიკოლაძე, ყველა შეშლილს ჰგავს, საფრთხეს, ქარიშხალს, საშინელ ყინვას აღარავითარ ყურადღებას აღარ ვაქცევთ. აღმართი ცოტა შემცირდა. ეს მწვერვალოა. მოწინავეებმა საფეხურების ჭრას თავი დაანებეს და ზევით აირბინეს. შვედელი კურტი ლონე მიხდილი ყინულზე დაეცა. მაგრამ მაშინვე მისცვივდენ და დაზილეს და მოაბრუნეს. ბოლოს ყველანი აცოცდენ. ასრულდა მრავალ წლის ოცნება! შეშლილებივით „ვაშას“ ვიძახდით. ატოს ორი ვაშლი ამოეტანა. ეს ვაშლები დიდის ამბით შევჭამეთ“. ასე მოგვითხრობს დოც. გ. ნიკოლაძე თავის ცოცხლად და გულწრფელად დაწერილ მოგონებაში, რომელიც მოთავსებულია „საქართ. გეოგრაფიულ საზოგადოების მოამბეში“.

სამწუხაროდ მყინვარი მთლად შემორტყმული ყოფილა ღრუბლებით და მათვის უხილავი დარჩენილა ის საუცხოვო სილამაზის გადასახედი მწვერვალოდან, რომელიც იხილა სამი დღის შემდეგ ამოსულ დიდებულიძის ექსპედიციამ და რომელიც ერთერთ წევრს ექიმ ასლანიშვილს ასე აქვს აწერილი:

„დიდებული სურათია ირგლივ. ჩრდილოეთით: ჩათას ქედი, კავკავი თავის მიდამოებით, როგორც ხელის გულზე; სტანიცები, სოფლები, შორეული რუსეთი. მარცხნივ დიდი და მცირე ყაბარდო, მარჯვნით კი ტატნობზე მადნეულ წყალთა ჯგუფის ყველა სიმაღლეები. მთელი ჩრდილოეთი კავკასი. აღმოსავლეთით: გერგეთის ყინვარი, სამება. დარიალის ხეობა, სამხედრო გზა, ქისტეთის ხევი, ჯაირახის ხევი, ფოლადის მთა, სნოს ხეობა ხევსურეთის შესავალი, არხოტის გადასავალი, შავანას წვერები, უკან ლეკეთის მწვერვალოები. სამხრეთით სამხედრო გზის შესანიშნავი სურათი.

მის ხეობაზე მოხევეთა სოფლები ჩიტის ბუდეებივით; თრუსოს ხეობა, გერგეთის, აბანოს და მნას ყინვარები; თერგის სათავე. მთელი ზღვა მთებისა თოვლიან მწვერვალებით, შავად და თეთრად. დასავლეთით: ჯიმარაი ხოხი; სვანეთის და აფხაზეთის კავკასიონი, იალბუზი. საერთო სიმშვენიერე და აუწერელი სილამაზე“.

მხურვალედ ვურჩევთ მკითხველებს უკვე მოხსენებულ ეს ეს არის გამოსულ ,,საქ. გეოგრ. ს. მოამბის“ წაკითხვას. ამ წიგნიდან მკითხველი შეიძენს ცოდნას და იგრძნობს ჩვენი ბუნების უსაზღვრო სილამაზეს.

გ. ბაქარ-ძე.

ლის კურსის და ყოველ დღე დაცემის ხანებში ეს კოოპერატივი აწვდიდა თავის მომხმარებელს ყოველივე პირველ საჭიროების საგნებს ნისიათ, რაც ძლიერ დიდი შეღავათს აძლევდა მოსამსახურეებს.

ფულის რეფორმის ჩატარების შემდეგ გვეგონა, რომ ეს კოოპერატივი უფრო გააფართოვებდა თავის მოღვაწეობას, მაგრამ იმედი არ გამართლდა.

ხშირათ კოოპერატივში არაფერი არ არის, გარდა უბრალო პაპიროსისა.

ზოგიერთი საქონელი არა ჩვეულებრივ ძვირად ფასობს.

მაგალითად, მოიტანეს მამაკაცის წინდები 12 წყვილი და გაყიდეს წევრზე წყვილი ერთ მანეთათ, ხოლო ბაზარზე ასეთივე წინდები ღირს 60—70 კაპ.

პურიც წინად საკმარისათ მოდიოდა და საშუალება გვქონდა ოჯახის საჭიროებისათვისაც წაგვეღო. ეხლა კი ხშირათ ორ გირვანქაც არ შეხვდება თითოს, რის გამო, ცოლშვილიან მოსამსახურეებს გვიხდება მივმართოთ ვიღაც კერძო მოვაჭრე მეფურნეს და იქნებ დიდი ხვეწნით და მუდარით მოგვცეს 2—3 გირ. ხშირად სულ ცარიელი ვრჩებით. საჭიროა ასეთ მოვლენებს ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს და მოგვეცეს საშუალება ჩვენთვის საჭირო საგნების ჩვენს კოოპერატივში ნისიათ შეძენის, როგორც ეს წინათ ხდებოდა.

კოლო.

პარტიული ცხოვრება

24 ივლისს, შესდგა მეორე დივიზიის პოლიტგანყოფილებასთან არსებულ კომუჯრედის კრება. დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო დასმული:

საერთაშორისო მდგომარეობა და პარტამხანაგების სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებზე მიმაგრება.

საერთაშორისო მდგომარეობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ალხაზიშვილმა. მოხსენებამ გამოიწვია მრავალი შეკითხვები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მეორე საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყდა მიმაგრებული იქნენ ამხ. სხვა და სხვა ორგანიზაციებზე.

ამხ. მიქაძე და მარქაროვი მიმაგრებული იქნენ საარტილერიო სამმართველოს უჯრედზე, ამხ. ენუქიძე მეშვიდე ასეულის კომუჯრედზე (მეხუთე ლეგიონი,) ხოლო დანარჩენი ამხანაგების შესახებ დაევალა ბიუროს მოლაპარაკება მოახდინოს პარტკომთან.

შემდეგ უჯრედის კრებამ ერთხმად დაავალა ბიუროს ყველა ამხანაგებიდან შეკრიბოს საჭირო ფული და გამოიწეროს კოლექტიურად გაზ. „წითელი არმიელი“.

გოგია ქალელი.

საკავშირო კომისია

4 აგვისტოს შესდგა უფროს მეთაურთა სკოლის საკავშირო კომისიის კრება.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: სექტემბრის მუშაობა და სოფელ ტეზერის გლეხობისადმი დახმარების შესახებ. სექტემბრის მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჩიტაიშვილი.

გამოირკვა, რომ საკავშირო კომისია სისტემატიურად აწარმოებდა და ურთიერთობაში ყოფილა, როგორც გლეხებთან, ისე ჯარის ნაწილებთანაც.

უფრო მეტი ყურადღებით მოპყრობია კომისია გლეხებთან დამოკიდებულების საქმეს და ყოველ გვარი სახით გაუწევია მათთვის დახმარება.

ტეზერის გლეხობისათვის დახმარების შესახებ-კომისიამ დაადგინა: შუამდგომლობა აღძრას სკოლის წინაშე, რათ მან მოაწყოს ქალაქში ფასიანი წარმოდგენა და მთელი შემოსავალი აქედან გადაეცეს ტეზერის გლეხობას-კლუბის აშენების მიზნით.

შუამდგომლობა უკვე აღძრულ იქნა კომისრის წინაშე, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

ამნაირად კომისიის მუშაობა ჯერ-ჯერობით ნაყოფიერად მიმდინარეობს. ყველა ნაწილებში გაჩაღებულია მუშაობა, რომელიც იმედია მომავალში არ შესუსტდება.

ა. ჭკადუა.

უენო მეგობრების წერილები ქართველ წითლ არმიელებისადმი

ცხენის ქვეშ—დასაგები.

წერილი მე-5-თე.

ცხენს ისევე ესაჭიროება დასასვენებლად ღამე დასაწოლი ქვეშდასაგები, რომელიც მას ყოველ საღამოს, საკვების მიცემის შემდეგ აუცილებლად უნდა ეძლეოდეს, როგორც ადამიანს.

საყოფი, მშრალი და რბილი ქვეშდასაგები ინახავს ცხენის ჯანმრთელობას და აძლევს მას საშვალებას დიდი შრომისა და დაღალვის შემდეგ, რაც შეიძლება მალე და საყოფად დაისვენოს. ქვეშ-დასაგები განსაკუთრებით საჭიროა ცხენისათვის სიცივის დროს. ცხენის ქვეშ-დასაგებათ ხმარობენ რბილ ჩალას, ხის ნახერხს და ტორფს ანუ დამიწებულ მცენარის ძირებს. ჩალა უნდა მიეცეს ცხენს, რაც შეიძლება სქლად და თანასწორ ქვეშ-დასაგებათ მთელი მისი სადგომის მიხედვით. ნეხვი, რომელიც ჩალაზე დაეცემა, დაუყონებლივ უნდა გატანილ იქნეს გარედ და რამოდენიმე წუთითაც-კი არ უნდა დავსტოვოთ იგი ჩალაზე. ყოველ დღეს, დილ-დილაობით ცხენის საწოლი ჩალა გადარჩეული და გამზეურებული უნდა იქნეს იმ ნაწილის გამოკრებით და ნეხვთან ერთად გარედ გატანა-გადაყრით, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში გასვრილი და გაფუჭებული იქნება ცხენის მიერ. გამზეურებული ჩალა მეორე ღამესაც უნდა დაუგოთ ცხენს, წამხდარი ჩალის მაგიერ ახალი ჩალის დამატებით. თუ ჩალის გარედ გამოტანას და გამზეურებას ნოტიო ამინდის გამო ვერ შევსძლებთ, იმ შემთხვევაში იგი თავლის კარების გვერდებზე, გამოსავალში, უნდა დავყაროთ და არა ბაგის ქვეშ, როგორც ამას ხშირად შვრებიან ზოგიერთი ჩვენი სამხედრო ნაწილები.

ცხენის ქვეშ-დასაგებათ ხის ნახერხის ან ტორფის ხმარების დროს, ეს უკანასკნელები ცხენის სადგომის მთელ იატაკზე უნდა მოვაყაროთ, თუ მეტი არა, ორი გოჯის სიმაღლეზე მაინც და შუა ადგილიდან ცხენის მხარეებისაკენ გადავშალოთ. ცხენის შარდის მიერ დასველებული ნახერხის ზევითა პირი და ნეხვი დილითვე უნდა გარედ გავიტანოთ და საღამოს ცხენის სადგომის მთელ იატაკს ისევ წინა ღამეს ცხენის მხარეებისაკენ მიწეული ნახერხი მოვაყაროთ ზევიდან ახალი ნახერხის დამატებით. ხის ნახერხას და ტორფის ქვეშ-დასაგებს ის ღირსება აქვს, რომ იგი სპობს თავლაში შარდისაგან ნიშადურის მარილის (ამიაკის) მავნე სუნს და საშვალებას აძლევს ცხენს სავსებით დაისვენოს მშრალს, თბილს და ფლოქვის ისრის ლპობის ამცდენელ საწოლზე.

ცხენის დაჭედვა.

ცხენის ჯანმრთელობის შენახვის და მის მიერ თავის მოვალეობის ჯეროვანად შესრულების საქმეში ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ფლოქვის სწორედ და მის თვისებათა მიხედვით დაჭედვას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მუდმივი თვალყურის გდება, ცხენის ფლოქვებზე ზრუნვა და მიღებული წესებით ცხენის თავის დროზე დაჭედვ-გადაჭედვა. ჭედვის მდგომარეობა ყოველთვის უნდა შემოწმებული იქნეს, როგორც ცხენის სამსახურის გამოვლენილობიდან დაბრუნების შემდეგ, ისე ყოველ დილაზე გაწმენდა-მოვლის შემდეგ. შემოწმების დროს ფლოქვი კარგად უნდა გავასუფთაოთ ტალახისაგან, ნეხვისაგან, რის შემდეგ ნალის ქვედა პირზე რამოდენიმეჯერ უნდა რკინის კაკვი შემოვჰკრათ, რომ გავიგოთ ის, თუ რამდენათ ისევ მაგრა არის მიჭედილი ფლოქვზე ნალი. ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ შემოწმების დროს აგრეთვე იმასაც, თუ რამდენათ მთელებად დარჩენილან ნალების ლურსმები და მათი კბილები (შიპები). ყველა შემჩნეულ ნაკლულევანებათა შესახებ უნდა დაუყონებლივ უფროსს მოვახსენოთ, რომ ამ უკანასკნელმა თავის დროზე ზომები მიიღოს და ცხენის ფლოქვები გაფუჭებისაგან გადაარჩინოს.

ყველა ცხენები უნდა იჭედებოდეს მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლად, თუმცა ფლოქვების შესანახად დიდი სასარგებლო იქნებოდა ცხენების ხანგრძლივად საბალახოთ გაშვების წინ და მთელი ზაფხულის განმავლობაში მეცადინეობის შემდეგ ნალების აყრა.

მშვიდობიან დროს თუ თავისი გლახა კონსისტეციით ფლოქვები დაჭედვას არ მოითხოვენ, შესაძლებელია სალაშქრო ცხენოსანმა ნაწილებმა და საველე არტილერიამ სამწყობრო ცხენები მხოლოდ წინა ფეხებზე დასჭედონ და უკანა ფეხები კი დაუჭედავი დაუტოვონ. **ცხენების სრული დაჭედვა უნდა ხდებოდეს არა უადრეს ოთხი და არა უგვიანეს ექვსი კვირისა.** იმ პირობით, რომ ეს გადაჭედვა ისე ხდებოდეს, რომ ბევრმა ცხენმა დასაჭედათ თავი ერთად არ მოიყაროს.

ცხენების თავ-თავის დროზე გადაჭედვის წარმოებისათვის ყოველ ოცეულში უნდა არსებობდეს ცხენების დაჭედვის ნუსხა, სადაც ყოველ დაჭედვის დროს უნდა ინიშნებოდეს დრო ამა თუ იმ ცხენის დაჭედვა-გადაჭედვისა. ეს ნუსხა გამოკიდებული უნდა იყოს თავლაში. დაუჭედავი ფლოქვები უნდა შემოუჭრათ და შემოურგვალოთ ცხენებს, ყოველ ათ დღეში ერთხელ, რომ ფლოქვის რქის კედლის კიდე ბლაგვი და სქელი იქნეს და ცხენმა მოძრაობის დროს ფლოქვის რქის კიდეები ვერ გადაინტვრიოს.

ვეტექიმი: ფარეიშვილი.

თანამდებობითი ბოროტმოქმედებანი და სამნეო ნაწილები.

წინა წერილში მე აღვნიშნე, რომ დიდი პროცენტი საქმეებისა სამეურნეო ხასიათის თანამდებობით ბოროტმოქმედებათა შესახებ ისპობა დანაშაულის დაუმტკიცებლობის ან დამნაშავის აღმოუჩენლობის გამო. სამნეო ნაწილებში ანგარიშები ხშირათ ისე უვარგისათ და არეულათ არის ნაწარმოები, რომ შეუძლებელია გამორკვევა იმისი, თუ რამ გამოიწვია აღმოჩენილი დანაკლისი ან ვისი ბოროტმოქმედებით არის იგი გამოწვეული.

სწორეთ ეს უანგარიშობა და მოუწესრიგებლობა სამნეო ნაწილში არის ერთი მთავარი მიზეზი იმასა, რომ ხშირათ ხდება ბოროტმოქმედებები ამ დარგში. დიდი ნაწილი ჩადენილ დანაშაულთა იფარება უჩინარი ზეწარით. უანგარიშობა და მოუწესრიგებლობა უფრო ადვილ საშუალებას აძლევს დამნაშავეს დაფაროს კვალი ბოროტმოქმედებისა და, როდესაც აღიძვრის მაინც ასეთი საქმე, ძნელათ ხერხდება ბოროტმოქმედების დამტკიცება და დამნაშავის აღმოჩენა. სახელმწიფოს კი დიდი ზარალი ეძლევა საქმის ასეთი დაყენებით.

ცხადია, ასეთ პირობებში პარტია სამსჯავრო ორგანოების მუშაობით და რეპრესიებით ვერას გავხდებით. უნდა იქნას მიღებული მთელი რიგი ადმინისტრატიულ-ორგანიზაციულ ხასიათის ზომებისა სამნეო ნაწილების მოსაგვარებლათ.

პირველ ყოვლისა უნდა შერჩეულ იქნას პირადი შემადგენლობა სამნეო დარგში. გამგეებათ და თანამშრომლებათ უნდა ინიშნებოდენ ზნეობრივათ პატიოსანნი და საქმის, ანგარიშების მცოდნე პირები. უნდა ეძლეოდეს მათ სათანადო დარიგებანი და ინსტრუქციები ცენტრიდან საქმის და ანგარიშების საწარმოებლად. უნდა შემუშავებულ იქნას საერთო ფორმები საქმის დაყენებისა და ანგარიშების წარმოებისა. წესიერი რევიზიებით და საჭირო ინსტრუქციებით უნდა შეიქნას ისეთი პირობები, რომ ერთი ნემსიც არ იკარგებოდეს. უკანონოთ და უწესრიგოთ არ იფლანგებოდეს სახელმწიფო ქონება. საქმე უნდა ჩაბარდეს უეჭველად მცოდნე და ამისთვის გამოსადეგ პირს, რომ შემდეგ საშუალება არ ექნეს თავი იმართლოს უვიცობით და გამოუცდელობით, რაც ხშირათ ხდება დღეს რითაც დამნაშავეთ ხშირათ ეხსნებათ ან უსუსტდებათ წაყენებული ბრალდება. ამ საქმისათვის ადმინისტრაცია არ უნდა მოერიდოს ხარჯის მომატებასაც, რადგან გაწეული ხარჯი ორკეცათ ანაზღაურდება საქმის წესიერი დაყენებით.

ყოველი სამნეო ნაწილის მოუწესრიგებლობისათვის უნდა დაწესდეს სასტიკი პასუხისმგებლობა ადმინისტრატიული წესით არა მარტო სამნეო ნაწილთა უშუალო თანამშრომლებისა, არამედ იმ ადმინისტრატიულ ორგანოებისაც, რომლებიც თვალყურს უნდა ადევნებდენ ყველა სამხედრო ნაწილთა სამნეო დარგების მდგომარეობას.

ასეთი ზომებით შესაძლო იქნება დანაშაულთა რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა, ამით ჩადენილ ბოროტმოქმედების დაფარვაც გაძნელდება და სახელმწიფოს ზარალიც საგრძნობლათ დაიკლებს.

ი. ლორთქიფანიძე.

ახალი ამბები.

— **მტკიცე ფასები პურზე.** ოზურგეთის აღმასკომმა გამოიმუშავა მტკიცე ფასები პურზე, რომელიც გატარდება ცხოვრებაში.

— **საეკლესიო შენობები.** ქალ. აღმასკომის კეთილ მოწყობის სექციამ საეკლესიო შენობების მისაღებათ და გამგეობისათვის მოიწვია შვიდი კომენდანტი.

— **წითელი სასადილოები სოფლათ.** ხონის გლეხკომმა გადასწყვიტა გააფართოოს წითელი სასადილოების ქსელი, კერძო სამიკიტნოებთან ბრძოლის მიზნით.

— **მთვარის დაბნელება.** 14 აგვისტოს მოხდება მთვარის დაბნელება, რომელიც დაიწყება ღამის 10 საათსა და 30 წუთზე.

— **წყალსადენი ბორჯომში.** უკვე დაიწყო მუშაობა ბორჯომის წყალსადენის საფუძვლიან შესაკეთებლათ.

— **ამიერ კავკასია კელნის ვაჭრობაზე.** ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო წინადადება კელნის (გერმანიაში) ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებათ.

— **საქონლის ჭირი სამეგრელოში.** სამეგრელოში მძვინვარებს საქონლის ჭირი. ზუგდიდის მაზრაში ჭირი მუსრს ავლებს ღორს.

— **საბავშო სახლი საჩხერეში.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გახსნას საჩხერეში საბავშო სახლი.

ნ. ფ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.